ახალციხის რაიონული სასამართლოს ანგარიში
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ III თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია ახალციხის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.
სასამართლოს საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას და ა. შ.

2025 წლის განმავლობაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 7 განცხადება მათ შორის:
მოქალაქის -6
მედია საშუალების -1
შემოსულ განაცხადთაგან 2 მოთხოვნა დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა 5 მოთხოვნა.
დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი. მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის წარმოდგენის არ არსებობა, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონი, დახურული სასამართლო სხდომა და ინფორმაციის დიდი მოცულობა.
მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო მოსამსახურის მიერ:
თამარ ობოლაშვილი-ახალციხის რაიონული სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილების) უფროსი-2011 წლის 10 იანვრიდან ახალციხის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.
საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა ახალციხის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა.
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი არ შემოსულა.
საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინარული სახდელის დადების ფაქტი არ ყოფილა.
საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ გადახდის ქვითარი სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა, ინფორმაციის ელექტრონულად გადაგზავნის გამო.

ახალციხის რაიონულ სასამართლოში
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების
(განყოფილების) უფროსი **თამარ ობოლაშვილი**